აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 28

14 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1**. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის, საოლქო საარჩევნო კომისიებმა კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-4 დღისა, საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან ერთად, უმაღლეს საარჩევნო კომისიას გადასცენ სათანადო წესით დალუქული ამომრჩეველთა სიები:

1. ამომრჩეველთა ერთიანი ნაბეჭდი სიის (სამაგიდო) ფორმები ( ფორმა № 4-1.02.01);

2. ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრის ფორები (ფორმა № 4 – 1.06.01);

3. ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმები ( ფორმა № 4-1.05.01).

**მუხლი 2**. ეს განკარგულებალება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდალური დღის განმავლობაში.

**მუხლი 3**. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე